საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

ქ. ოზურგეთი 15 თებერვალი, 2015 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის გაწეული მუშაობის ანგარიში

2015 წლის პირველი იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა 3 სხდომა, აქედან ორი გაერთიანებული სხდომა სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასთან ერთად. აღნიშნული კომისიის სხდომების დროს განხილული იქნა 5 საკითხი:

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2015 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ;
2) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წერილის განხილვა, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით ქონების გადაცემაზე დასკვნის მომზადება;
3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის 7950 ლარის გამოყოფის შესახებ;
4) სოფელ ბახვის მცხოვრებთა განცხადების განხილვის შესახებ;
5) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2015 წლის სამუშაო გეგმა;

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოამზადა დადებითი დასკვნა და საკრებულოს წარუდგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული სამსახურისთვის სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში 250 კვ.მ. ფართის გამოყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მისაცემად.

მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოამზადა უარყოფითი დასკვნა, რომლის მიხედვითაც მიზანშეუწონლად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის 7950 ლარის გამოყოფა და მიიღო რეკომენდაცია რომ აღნიშნული თანხა მიემართოს ინფრასტრუქტურული სამუშაოების სარეზერვო ფონდში.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ განიხილა სოფელ ბახვის მცხოვრებთა განცხადება და გადაწყდა შეიქმნას მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ერთობლივი დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში დააყენებს უზურფრუქტის ხელშეკრულების გაუქმების საკითხს;

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოამზადა დასკვნა გამგეობის მიერ წარმოდგენილ საპრივატიზაციო ნუსხიდან სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული 400 კვ. მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ამოღების თაობაზე და წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: **შოთა ართმელაძე**